

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის ანგარიში

ახალქალაქის მერია არის ადმინისტრაციული ორგანო მუნიციპალიტეტში, სადაც მოქმედებს ათი სამსახური. მერიას გააჩნია 134 სამტატო ერთეული. ამჟამად დასაქმებულია 127 თანამშრომელი, მათ შორის გაგვაჩნია 15 სამტატო ერთეული ხელშეკრულებით. ასევე, გაგვაჩნია 7 სამტატო ვაკანსია და ერთი ვაკანსია ხელშეკრულებით. მერიის შემადგენლობაში არის 15 არაკომერციული იურიდიული პირი, მათ შორის ა(ა)იპ „სერვის ცენტრი“, ხოლო დანარჩენი 14 ა(ა)იპ კულტურის სამსახურის დაქვემდებარებაშია. ასევე, მერიის დაქვემდებარებაშია საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და აგრარული ბაზარი. ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებში დასაქმებულია დაახლოებით 400 თანამშრომელი. 127 თანამშრომელიდან 18-ქართველია, 1- უკრაინელი, ხოლო დანარჩენი სომეხი, დასაქმებულთა შორის 30-ქალია, რომლებიც დასაქმებულნი არიან როგორც ხელშეკრულებით და ასევე შტატით.

1. ადმინისტრაციული სამსახური

ადმინისტრაციული სამსახურის სამ განყოფილებაში დასაქმებულია 15 თანამშრომელი. სამსახურში დასაქმებულნი არიან: საქმის წარმოებით, იურიდიული აქტებისა და ბრძანებების მომზადებით, ორგანიზაციული საკითხებით, კადრების საკითხით, მათ შორის მოსახლეობის სოციალური დახმარების საკითხით. 2019 წლის 9 თვის განმავლობაში მიღებულ იქნა 7000 ათასი წერილი, განცხადება, საჩივარი როგორც მოქალაქეებისგან ასევე მაღალი თანამდებობის პირებისაგან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი მათგანი შესრულებულია დროულად და ხარისხიანად, მაგრამ არის განცხადებები, რომლებზეც ობიექტური ან სუბიექტური პირობების გამო პასუხები ყოვნდება. ეს ეხება მიწების საკითხს, ინფრასტრუქტურის საკითხს, მათ შორის მეზობლურ დავებს.

9 თვის განმავლობაში მომზადებულია 2300-ზე მეტი ბრძანება. ბრძანებების უმეტესობა ეხება მაღალმთიანი მოსახლეობისთვის სტატუსის გაცემას.

-მივლინებაზე 200 ბრძანება

-შვებულებებზე 110 ბრძანება

- კადრების საკითხებზე 74 ბრძანება

-მშენებლობის ნებართვის გაცემაზე 28-ბრძანება

- ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებაზე 40- ბრძანება

2018 წლის 9 თვესთან შედარებით, 2019 წლის 9 თვის განმავლობაში გაცემულია 500 ბრძანებით მეტი.

2019 წლის 9- თვის განმავლობაში სამსახურიდან გათავისუფლდა 9 თანამშრომელი, ასევე, ხოლო 9 თანამშრომელი იქნა მიღებული სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე.

სოფელ აზავრეთისა და სოფელ კარტიკამის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობას გადაეცა 100-ზე მეტი ცნობა სხვადასხვა საკითხებზე (ოჯახის შემადგენლობის, საცხოვრებელი ადგილის შესახებ და ა.შ.).

-დაიგეგმა და ორგანიზება გაეწია სხვადასხვა ტრენინგების ჩატარებას (გენდერული თანასწორობის შესახებ, საჯარო სამსახურის დაცვის შესახებ, სამსახურების მიერ ანგარიშების მომზადება და ა.შ.).

-ორგანიზება გაეწია მერის შეხვედრებს მოსახლეობასთან და მათი პრობლემების განხილვას.

-მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდსა (Akhalkalaki.ge) და Facebook გვერდზე („ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია“) პერიოდულად შუქდება მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული საქმიანობა (მიმდინარე წლის ბიუჯეტის პროექტი და დამტკიცებული ბიუჯეტი, ინფრასტრუქტურული პროექტები, სამშენებლო სარეაბილიტაციო და სხვა სამუშაოები, კულტურული ღონისძიებები , შეხვედრები, ტრენინგები,სიახლეები, მერიის ანგარიში ამომრჩევლის წინაშე და სხვა.). ადმინისტრაციული სამსახური ახორციელებს ასევე ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის , პირის ცხოვრების (ყოფნის) ნამდვილობის ფაქტის დამდგენი კომისიის საქმიანობას . ამ კომისიის მიერ მიღებულია 28 საქმე , აქედან 19 საქმე დაკმაყოფილდა.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოციალური ფონდი

(სოციალური პაკეტი- დამტკიცებულია მუხლების მიხედვით გასაწევი ხარჯები)

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი და საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური პაკეტის მუხლები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავდროულად მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა ფინანსური დახმარების უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებასა და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის შესაბამისად 9 თვეში განახორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

1. 9 მაისის გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების დახმარება ქვეპროგრამისათვის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხიდან (6 000 ლარი) ათვისებულია მთლიანად:

ფინანსური დახმარება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს:

$$6 \times 1000 = 6000 \text{ (ლარი)}$$

2. ერთჯერადი დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ქვეპროგრამის ფარგლებში შემოსული განცხადებების თანახმად, ფინანსური დახმარება გაიცა 387 ბენეფიციარზე. სულ 119 300 ლარის ოდენობით. 2018 წლის 9 თვესთან შედარებით 15750 ლარით მეტი.

3. ახალშობილებზე ფინანსური დახმარების ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული იყო 170 000 ლარი, ათვისებულია 93 450 ლარი. დახმარება გაიცა 340 ახალშობილზე. 300 ახალშობილზე გათვლით 2019 წლის იანვარ -სექტემბრის თვეებში გაეცა 8241 ლარით მეტი 2018 წლის აღნიშნულ პერიოდთან შედარებით.

4. სასწრაფო შემთხვევების ოპერაციების და მკურნალობის ხარჯის დასაფარად ფინანსური დახმარებები გაიცა 223 მოქალაქეზე. ათვისებულია 131 000 ლარი. 220%(პროცენტით) მეტმა მოქალაქემ ისარგებლა ქვეპროგრამით 2018 წელთან შედარებით.

5. ფინანსური დახმარებები სოციალურად დაუცველ ოჯახებზე საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად 2019 წლის 9 თვეში გაიცა 29 ოჯახზე. ათვისებულია 30400 ლარი. პირველად დაიწყო უსახლკარო პირთათვის თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.

6. სოციალურად დაუცველი, შშმ, ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახებიდან ბავშვების სწავლებისათვის გათვალისწინებული 40 000 ლარიდან ათვისებულია 24 730 ლარი. დახმარება გაეცა 30 ბენეფიციარზე. 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ქვეპროგრამის გაფართოება.

7. ომის მონაწილეთა და უსახლკარო პირთა დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად გათვალისწინებული 7 000 ლარიდან ათვისებულია 750 ლარი :

8. ფინანსური დახმარება მედიკამენტების შესაძენად დახმარებები გაიცა 36 ადამიანზე. გათვალისწინებული იყო 40 000 ლარი, ათვისებულია 15749,79 ლარი.

9. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის და სს“სამედიცინო კომპანია“ ევექსს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემარანდუმის თანახმად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 80 000 ლარი, რომლითაც ისარგებლა 556 ბენეფიციარმა, სულ დახარჯულია 53105,9 ლარი.

2. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური

- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება

2019 წლის 01 იანვრიდან 30 სექტემბრის პერიოდში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების ფარგლებში, რეგიონალური განვითარების ფონდის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, ამბულატორიული მომსახურებების ფონდის, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურული განვითარების ფონდის, სტიქიისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ფონდიდან განხორციელდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, როგორებიცაა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია, სასმელი წყლის, საკანალიზაციო და სარწყავი სისტემის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, საბავშვო ბაღებისა და საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობების აღდგენა- რეაბილიტაცია, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა, კულტურული ობიექტებისა და სტიქიისგან მიყენებული ზარალის აღმოფხვრა, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, ამბულატორიის შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

- *საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა*

2019 წლის განმავლობაში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოასფალტდა ქვემოთ ჩამოთვლილი გზები და ქუჩები:

- *რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და ადგილობრივი ბიუჯეტი (თანადაფინანსება)*

1. სოფ. ბავრა-კარტიკამი-აბულამდე გზის მოასფალტება (2 კმ.)– 1006224 ლარი. (დასრულებულია).
2. ახალქალაქი-კარწახი (თურქეთის საზღვარი) საავტომობილო გზიდან ვაჩიანი-ოკამი-აზმანა-ქარცეპი-აფნია-გოგაშენის გზის მოასფალტება (3,8 კმ) - 1871999 ლარი. (დასრულებულია).
3. ახალქალაქი-არაგვა-გომანი საავტომობილო გზიდან ზაკი- ბულაშენი-მერენია-იხტილის გზის მოასფალტება (1,3 კმ.)– 653300 ლარი (დასრულებულია).
4. სოფ. ბარალეთი-კოჩიო გზის მოასფალტება (II ეტაპი)(სოფ. კოჩიოდან სოფ.ალათუმანამდე 1028 მ.)- 583400 ლ. (დასრულებულია).
5. სოფ. ბარალეთი-კოჩიო გზის მოასფალტების I ეტაპის დასრულება(1560 მ)- 511620 ლარი. (დასრულებულია).

- ადგილობრივი ბიუჯეტი

1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლის გზების თოვლისგან გაწმენდა- 69332 ლარი (მიმდინარე).
2. სოფ. კუმურდოს საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის მოასფალტება (371მ) და სოფ. ბარალეთის იუსტიციის სახლის ტერიტორიის კეთილმოწყობა (300 კვ.მ.)- 114364 ლარი (დასრულებულია).
3. ქ. ახალქალაქში ქუჩების დახაზვის სამუშაოები და საგზაო ნიშნების (N 3.1 – 5ც; N 3.27– 4ც; N 3.18.1 – 3 ც; N 3.18.2 – 3ც; N2.4 – 2ც) დაყენება; ასფალტის ხელოვნური ბარიერების მოწყობა- 24190 ლ.(დასრულებულია).
4. ქ.ახალქალაქის თბილისის პირველი შესახვევის, თბილისის მეორე შესახვევის, თბილისის ქ. ტროტუარის, აღმაშენებლის ქ. №34; №36-ის მრავალბინიანი სახლების ეზოების, ჯივანის მასივის მესამე შესახვევის მოასფალტება, ქ.ახალქალაქის საფეხმავლო ხიდიდან - №1 სამხედრო ქალაქამდე ტროტუარის მოწყობა- 357000 ლარი (დასრულებულია).
5. ქ. ახალქალაქის ქუჩების დაზიანებული ა/ბეტონის საფარის შეკეთება-199986 ლ. (დასრულებულია).
6. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლის გზების მოსწორება- 97678 ლ. (დასრულებულია).
7. ყოფილი მე-15 სამხედრო ქალაქის მრავალბინიანი სახლების ეზოების მოასფალტება და სოფ.ვაჩიანის საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის და საცალფეხო ბილიკის მოასფალტება - 547193 ლ. (დასრულებულია).

- *სასმელი წყლის, საკანალიზაციო და სარწყავი წყლის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია*

2019 წლის განმავლობაში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის წყალსადენის, სარწყავი/საირიგაციო და საკანალიზაციო სისტემის გაუმჯობესებისათვის განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაოები:

- ადგილობრივი ბიუჯეტიდან
1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლებში არხების რეაბილიტაცია და საირიგაციო სისტემის დასუფთავება (დაახლოებით 90090 მ) -30621 ლარი. (დასრულებულია).
 2. სოფ.იხტილის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია; სოფ.გოკიოს საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია სოფ.მერენიის მდინარის დასუფთავება (725.8 კუბ.მ) - 11650 ლარი. (დასრულებულია).
 3. სოფ.ოკამის წყალსაცავისთვის წყალსადენის გაყვანა -512 მ.
 4. სოფ.კარწახის სკოლის წყალმომარაგების სისტემის გაყვანა -310 მ.
 5. სოფ.ბოზალის სკოლისთვის წყალმომარაგების სისტემის გაყვანა -132 მ.
 6. სოფ.ოლავერდის სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაცია -950 მ.
 7. სოფ.კუმურდოში წყალსაცავისთვის წყალსადენის გაყვანა-950 მ.
 8. სოფ.ორჯას სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია -1025 მ.

სულ პროექტის ღირებულება- 87997 ლარი.

- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა, საბავშვო ბაღებისათვის ახალი შენობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია

ქ. ახალქალაქში და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა და კიდევ იგეგმება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, რიტუალების სახლების, სოფლის კლუბების რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღებისათვის ახალი შენობების მშენებლობა და არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ტერიტორიების კეთილმოწყობა, ფანჩატურების მშენებლობა და მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, კერძოდ:

- მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

1. სოფ. ჩუნჩხაში საბავშვო ბაღის მშენებლობა - 246800 ლარი (დასრულებულია.)

- ადგილობრივი ბიუჯეტი

1. ქ. ახალქალაქისა და პირველი სამხედრო ქალაქის დამაკავშირებელი ხიდის ნაწილობრივი რეაბილიტაცია- 3827 ლ.(დასრულებულია).
2. ისტორიული ძეგლის, მემორიალის მშენებლობა (9 აპრილის ტრაგედიის მემორიალის მოწყობა) - 49665 ლარი (დასრულებულია).
3. ქ.ახალქალაქის თავისუფლების ქ.#34,#36 და ჭავჭავაძის ქ.#1 მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია - 178820 ლარი (დასრულებულია).
4. სოფ.ჩამდურაში მინი სტადიონის რეაბილიტაცია - 6551 ლარი (მიმდინარეობს ტენდერი)
5. სოფ.კოჩიოს საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.
6. სოფ.ლადოლარში სოფლის კლუბის რეაბილიტაცია - 69030ლარი (დასრულებულია).
7. სოფ.ვარევანი-ალასტანი-გოკიოს გზის ხიდის რეაბილიტაცია, სოფ.ხულგუმოს ხიდის რეაბილიტაცია, სოფ.ალასტანის ხიდის რეაბილიტაცია, სოფ.გოკიოს ხიდის რეაბილიტაცია - 37186 ლ. (დასრულებულია) .

აგრეთვე მიმდინარე წელს დაგეგმილია შემდეგი სახის სამუშაოების განხორციელება:

1. ქ.ახალქალაქის #1,#2,#3 საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.
2. მომავლის სახლის რეაბილიტაცია
3. ქ. ახალქალაქის თავისუფლების ქუჩა N 97 და ერევანიანის ქ. N43 მრავალსართულიანი შენობების სახურავების რეაბილიტაცია.
5. ქ. ახალქალაქის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებში სავენტილაციო არხების დამონტაჟება.

სტიქიისგან მიყენებული ზარალის აღმოფხვრა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიების შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის განხორციელებული იქნა ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტები:

- ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან
1. სოფ. ხავეთში მეწყერისგან დაზიანებული გრუნტოვანი გზის აღდგენა - 4687 ლარი (დასრულებულია).

- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ფონდიდან

ვარძია-გოგაშენის საავტომობილო გზის გაწმენდითი სამუშაოები - I ეტაპზე- 150 000 ლ. II ეტაპზე -288972ლარი.

- საჯარო სკოლებში განსახორციელებელი მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები

სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრების ფარგლებში, რომელიც შეადგენს 1 370 000 ლარს, დღეის მდგომარეობით განხორციელდა 17 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. ესენია :

1. ქ. ახალქალაქის №1 საჯარო სკოლა
2. ქ. ახალქალაქის №2 საჯარო სკოლა
3. ქ. ახალქალაქის №5 საჯარო სკოლა
4. სოფ. იხტილის საჯარო სკოლა
5. სოფ. ალასტანის საჯარო სკოლა
6. სოფ. მაჯატიის საჯარო სკოლა
7. სოფ. კულიკამის საჯარო სკოლა
8. სოფ. დადეშის საჯარო სკოლა
9. სოფ. ბეჟანოს საჯარო სკოლა
10. სოფ. ტურხცის საჯარო სკოლა
11. სოფ. ჩამდურის საჯარო სკოლა
12. სოფ. ბარალეთის №1 საჯარო სკოლა
13. სოფ. ვაჩიანის საჯარო სკოლა
14. სოფ. მერენის საჯარო სკოლა
15. სოფ. ხულგუმოს საჯარო სკოლა
16. სოფ. ლომატურცხის საჯარო სკოლა
17. სოფ. ოლავერდის საჯარო სკოლა

სკოლებში მოეწყო სველი წერტილები და განხორციელდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რამაც ჯამში შეადგინა 1296016 ლარი. დარჩენილი ეკონომიდიდან დაგეგმილია იმ საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, რომელთა რეაბილიტაციაც იგეგმება მომდევნო 2020 წელს.

ამბულატორიული მომსახურებები

ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 4 სოფელში , სოფ. ზაკში, სოფ. კარტიკამში, სოფ. ჩამდურასა და სოფ. ლადოლარში მიმდინარეობს ახალი ამბულატორიის შენობების მშენებლობა ,

თანხით- 360253 ლარი. ხოლო, სოფ. ალასტანში არსებულ შენობას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები თანხით-35900 ლარი, რომელიც დღეის მდგომარეობით დასრულებულია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 64 სოფელში ჩატარდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, პრიორიტეტების ფარგლებში ყველა სოფელში განისაზღვრა 91 პრიორიტეტი. რომლისთვისაც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული თანხა შეადგენს 922 000 ლარს. დღეის მდგომარეობით 63 სოფელში სამუშაოები დასრულებულია.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სამუშაოების შესრულების დაფინანსება

მიმდინარე წელს განხორციელდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის. მათ შორისაა როგორც მიმდინარე 2019 წელს განსახორციელებელი სამუშაოებისთვის განსაზღვრული პროექტები, აგრეთვე 2020 წელს დაგეგმილი პროექტები.

2018 წელთან შედარებით 2019 წლის 9 თვის მონაცემებით, ინფრასტრუქტურული სამუშაოების მოცულობა, პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი გაზრდილია თითქმის 80%-ით. რაც იძლევა იმის საფუძველს, აღინიშნოს ის, რომ რეგიონის ინფრასტრუქტურული განვითარება მიმდინარეობს პროგრესულად. გაუმჯობესებულია საგზაო ინფრასტრუქტურა, წყალმომარაგება, საჯარო სკოლებში მოწესრიგებულია სველი წერტილები და დაცულია სანიტარული ნორმები, სოფლად ხელმისაწვდომი გახდება სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტირდა ხიდები, გაუმჯობესდება საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურა.

• არქიტექტურა და მშენებლობა

2019 წლის სექტემბრის ბოლომდე ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ დამუშავებულია 27 საარქიტექტურო-დაგეგმარებითი დავალება და გაცემულია 26 ნებართვა კერძო და კომერციული დანიშნულების შენობების ასაშენებლად, ექსპლუატაციაში მიღებულია 39 შენობა-ნაგებობა. ასევე 2019 წლის განმავლობაში გაცემულია თანხმობა სხვადასხვა ხაზობრივი და კავშირგაბმულობის ხაზების გაყვანისათვის, მინი სტადიონის მოწყობისათვის და სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობების რემონტი/რეაბილიტაციისათვის, რომელიც ეხება 1-ლი კლასის შენობებს.

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ, 2019 წლის 9 თვის განმავლობაში, შემუშავებულია განცხადებების პასუხები, მოხსენებითი ბარათები, წერილები სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის, კვარტალური და წლიური ანგარიშები და მომზადებულია ინფორმაციები სხვადასხვა სახელმწიფო თუ ადგილობრივ ორგანიზაციებში წარსადგენად. ინფრასტრუქტურის

სამსახური აგრეთვე აქტიურად თანამშრომლობს სამცხე-ჯავახეთის გუბერნიასთან, უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებს მასზე დაკისრებულს სხვა მოვალეობებსაც.

3. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის პროგრამული ბიუჯეტის ანგარიში

I საშემოსავლო ნაწილი

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე 2019 საბიუჯეტო წელს 9 თვისათვის მობილიზებულია 17 289,7 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 16 248,2 ათასი ლარისა (106,4%), რაც გეგმიურს - 1041,5 ათასი ლარით აღემატება.

შემოსავლებიდან გადასახადების სახით მოზიდულია 7439,1 ათასი ლარი ანუ წლიური გეგმის (7500,0 ათას ლარი) 99,2 პროცენტი, აქედან დამატებითი ღირებულების გადასახადი, ნაცვლად 650,0 ათასი ლარისა შემოსულია 507,5 ათასი ლარი (78%).

- საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადი, ნაცვლად 6680,0 ათასი ლარისა შემოსულია 6923,0 ათასი ლარი (103,6%).
- უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადი ნაცვლად 3,0 ათასი ლარისა შემოსულია 0,1 ათასი ლარი (3,3%).
- ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი, ნაცვლად 2,0 ათას ლარისა შემოსულია 0,4 ათასი ლარი (20%).
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი შემოსულია 2,5 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 82,0 ათასი ლარისა (3%)
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი შემოსულია 5,6 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 83,0 ათასი ლარისა (6,7 %).

მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის შემოსავლების საქმეში წილი ეკუთვნის გრანტებს და იგი შეადგენს 7383,2 ათას ლარს, ანუ ბიუჯეტის მოცულობის 45,4 პროცენტს, რომლის შემოსულობის მოცულობის გეგმა შესრულდა 64,7 პროცენტით, მათ შორის:

- მიზნობრივი ტრანსფერი 215,0 ათასი ლარი.
- რეგიონალური განვითარების ფონდის ტრანსფერი 6246,2 ათასი ლარი.
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 922,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით (სხვა შემოსავლები) მოზიდულია 1125,8 ათასი ლარი ანუ გეგმიურის (1255,0) 89,7 პროცენტი, მათ შორის:

- დეპოზიტზე დადებული თანხის პროცენტი 166,0 ათასი ლარი (გეგმა 300,0 ათას ლარი), 55,3 პროცენტი.
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 100,3 ათასი ლარი (გეგმა 82,0 ათას ლარი). 122 პროცენტი.

- მიწის იჯარიდან შემოსავალმა 29,6 ათასი ლარი შეადგინა ანუ გეგმიურის (110,0 ათას ლარი) 27 პროცენტი.
- სანებართვო მოსაკრებელი შემოსულია 6,2 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 6,0 ათასი ლარისა.
- სამხედრო-სავალდებულო მოსაკრებელი 9,6 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 7,0 ათასი ლარისა.
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით მიღებულია 513,0 ათასი ლარი ანუ (450,0 ათას ლარი) გეგმიურის 114,0 პროცენტი.
- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის ამოღებულია 32,3 ათასი ლარი ანუ გეგმიურის (30,0 ათას ლარი) 107,6 პროცენტი.
- სხვა არაკლასიცირებული მოსაკრებელი - 0,2 ათას ლარი.
- შემოსავალი მომსახურების გაწევიდან - 17,9 ათასი ლარი, ანუ გეგმიურის (20,0 ათას ლარი) 89,5 პროცენტი.
- ჯარიმები,სანქციები და საურავები მიღებულია 249,6 ათასი ლარი ანუ (250,0 ათას ლარი) გეგმიურის 99,8 პროცენტი.
 არაფინანსური აქტივების გაყიდვის შედეგად ბიუჯეტში შემოსულია 85,9 ათასი ლარი.
 2018 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით გარდამავალი ნაშთი შეადგენს 345 ლარს

II საგასავლო ნაწილი

მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის საგასავლო ნაწილმა 10791,8 ათასი ლარი შეადგინა, ნაცვლად გეგმიური 20110,8 ათასი ლარისა ანუ 9319,0 ათასი ლარით ნაკლები (53,7%),

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში ხარჯებმა 5782,8 ათასი ლარი დაიკავა. მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება 1519,0 ათასი ლარი. აქედან პრემია და დანამატი 23,0 ათასი ლარი.
- საქონელი და მომსახურეობა 797,5 ათასი ლარი. მათ შორის: ოფისის ხარჯები 132,0 ათასი ლარი.
- საშინაო ერთეულებიდან აღებულ ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი 33,6 ათასი ლარი.
- სუბსიდიები 2427,5 ათასი ლარი.
- გრანტები 55,0 ათასი ლარი.
- სოციალური უზრუნველყოფა 447,0 ათასი ლარი.
- სხვა ხარჯები 503,2 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა 4872,7 ათასი ლარი.

ვალდებულებების კლება 136,3 ათასი ლარი.

4. შესყიდვების სამსახური

შესყიდვების სამსახურის მთავარი მიზანია შესყიდვისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, შესყიდვაში მონაწილეთა მიმართ პროპორციული და არადისკრიმინაციული მიდგომა.

2018 წელთან შედარებით მიმდინარე წლის 30 სექტემბრამდე გაზრდილია როგორც სახელმწიფო შესყიდვების გეგმა, ასევე სამუშაოთა მოცულობაც, რაც დასტურდება ხელშეკრულებების რაოდენობით 2018 წელს ხელშეკრულებათა რაოდენობა სექტემბრის ბოლოსთვის იყო - 85 ხელშეკრულება, 2019 წლის სექტემბრის ბოლოსთვის - 182, რაც ორ ნახევარჯერ მეტია წინა წელთან შედარებით.

- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის #441 განკარგულების თანახმად ახალქალაქის მუნიციპალიტეტს გამოეყო 922000 (ცხრაასოცდაორი ათასი) ლარი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ სოფლისთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების განსახორციელებლად. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაფორმდა 51 ხელშეკრულება - 91 პრიორიტეტზე.
- 2019 წლის 25 ივნისის #1478 მთავრობის განკარგულების თანახმად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი იქნა ფულადი სახსრები გზების მოასფალტებისთვის. წინა წლებთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი მაღალია 2018 წლის მაჩვენებელზე 1.121.530 ლარით. 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გზების რეაბილიტაციისთვის გამოიყო - 4.218.232 ლარი.
- 2019 წლის 02 ივლისის #1510 განკარგულებით გამოიყო ასევე სახსრები ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის, რომელიც შეადგინა 386 551 ლარი, ბოლო წლების მანძილზე ეს იყო ამბულატორიების მშენებლობის მასშტაბური პროექტი, რომელთა მშენებლობა-რეაბილიტაციაც მიმდინარეობს და დასრულდება 2019 წლის ნოემბრის თვეში.
- ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტთა შორის იყო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია, რაზეც გამოყოფილი იყო 1370000 ლარი საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის #207 განკარგულების საფუძველზე. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 17 საჯარო სკოლას, ქალაქსა და სოფლის სკოლაში. აღნიშნული პროექტების განხორციელებამ დადებითი მუხტი შემოიტანა მუნიციპალიტეტში.
- ზემოაღნიშნული პროექტების გარდა, მთლიანი ადგილობრივი ბიუჯეტი ამ დროისთვის შეადგენს 12 389 900 ლარს.
- მიმდინარეობს და გამოცხადებულია ტენდერები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2020 წლის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე, მომავლის სახლისა და #1 საბავშვო ბაღის შენობების რეაბილიტაციაზე - 17424 ლარი, ჩამდურის მინის სტადიონის რეაბილიტაციაზე 5`551 ლარი, ქ. ახალქალაქის ერევნის ქუჩის #53 მრავალბინიანი კორპუსისა და თავისუფლების #97 კორპუსის სახურავების მოწობაზე 95896 ლარი, ქალაქის #2 და #3 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაზე 177807 ლარი. აღნიშნული პროექტების შესრულება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუნიციპალიტეტის განვითარებაში.

მიმდინარე წლის ბოლომდე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სხვადასხვა პროექტები, რომელთა რეალიზებაც მოხდება მაქსიმალურად.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის 85 %-ი ათვისებულია 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით.

5. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური

2019 წლის 01 იანვრიდან 30 სექტემბრამდე ეკონომიკის სამსახურში შემოსულია 2432 (ორი ათას ოთხას ოცდათორმეტი) წერილი. აქედან 1712 (ათას შვიდას თორმეტი) წერილი - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, 438 (ოთხას ოცდათვრამეტი) წერილი სხვადასხვა შინაარსის (ეკონომიკურ დაგეგმვასთან, გზების რეაბილიტაციასთან, სამოვრებთან, მეზობელთა შორის არსებულ სადავო საკითხთან და ა. შ.).

მიწის ნაკვეთების იდენტიფიკაციის დადგენასთან დაკავშირებულ 1276 წერილზე დადგენილი იქნა იდენტიფიკაცია, 24 წერილზე გაცემულია პასუხი სანოტარიო შუამდგომლობით, 81 წერილი საბუთების სრულყოფილების არარსებობის, მესაკუთრის გამოუცხადებლობის ან უთანხმოების გამო იყო შეწყვეტილი, 182 წერილზე ინფორმაცია არ იყო დაცული მერიაში, 149 წერილი ჩაბარებულია მერის წარმომადგენლებთან/ სპეციალისტებთან და მიმდინარეობის პროცესშია სხვადასხვა მიზეზების გამო.

დამზადებული და გაგზავნილია სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში 116 (ას თექვსმეტი) წერილი სახელმწიფო ბალანსზე არსებული მიწის ნაკვეთებისა და შენობა - ნაგებობების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემულია 14 მიწის ნაკვეთი შენობა - ნაგებობებით.

მიღებულია 22 წერილი - საკრებულოდან, 28 წერილი გუბერნიიდან, 25 წერილი ა(ა) იპ ახალქალაქის სერვისცენტრიდან, 5 წერილი არქივიდან. დაგეგმარებასთან დაკავშირებით მიღებული განცხადებების უმეტესი ნაწილი შეტანილია 2020 წლის ბიუჯეტში. ზოგიერთი განცხადებები დაგეგმვასთან დაკავშირებით, მუნიციპალურ ბიუჯეტში შესაბამისი თანხის არარსებობის გამო, აყვანილია აღრიცხვაზე შემდგომში დაგეგმარების მიზნით. ეკონომიკური დაგეგმარება მოხდა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის, ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯებით მისაღები შედეგების თაობაზე. დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნა მოსახლეობის, სოფლის წარმომადგენლების და სპეციალისტების განცხადებები.

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ყველა თანამშრომელი აქტიურად მონაწილეობდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე, ასევე ეკონომიკის კუთხით დაგეგმილ ტრენინგებზე. საკრებულოში წარდგენილია 5 (ხუთი) დადგენილების პროექტი.

2019 წელს გამოცხადებული იქნა 5 (ხუთი) აუქციონი ახალქალაქის საზაფხულო სამოვრებების იჯარით გაცემის შესახებ. მომზადებული იქნა ყველა შესაბამისი დოკუმენტი აუქციონის გაოსაცხადებლად. ხუთი აუქციონიდან ხუთივეში გამოვლინდა გამარჯვებული, გაფორმდა ხელშეკრულებები 3(სამი) წლის ვადით. აღნიშნული მიმართულებით აქტიური სამუშაოა ჩატარებული დაცული ტერიტორიის სააგენტოსთან, ქცია - ტაბაწყურის და ეგრეთწოდებული გვექტალის საზაფხულო სამოვრების პოტენციურ მოიჯარეებზე სამოვრების გადაცემის შესახებ. სამოვრებიდან

მიღებული შემოსავალი 2019 წლის 01 იანვრიდან 30 სექტემბრის მდგომარეობით ჯერჯერობით არ ჩარიცხულა.

წიაღის ეროვნული სააგენტოდან მიღებულია 16 წერილი. წერილების განხილვაში, ჩართული იყო როგორც ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის თანამშრომლები, ასევე მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით, რომელ ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა წიაღის მოპოვების მიზნით მოთხოვნილი ტერიტორია. აქედან დაკმაყოფილდა - 13 წერილი, ხოლო 3 -ზე სოფლის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე გაცემულია უარი . მიღებულია 16 წერილი მე-2 ხარისხის საშემე მერქნის შესახებ. მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სოფლების მიხედვით გამოეყო და გაეცა დაახლოებით 1500კუბ.მ. საწვავი შეშა. ხდებოდა მიღებული განცხადებების გადაგზავნა სამცხე - ჯავახეთის სატყეო სამსახურში მოთხოვნილი საწვავი შეშის მოცულობის დაკმაყოფილების თაობაზე. შუამდგომლობა წარედგინა სამცხე - ჯავახეთის სატყეო სამსახურს საკლებო გაერთიანებებისა და საბიბლიოთეკო, ასევე საბავშვო ბაღების გაერთიანებების საწვავი შეშის დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც იქნა დაკმაყოფილებული მოთხოვნილების მიხედვით.

მიღებულია ხის მოჭრასთან დაკავშირებული 40 (ორმოცი) წერილი. აღნიშნულ წერილებზე ხდებოდა ადგილზე შესწავლა, დათვალიერება, აქტის შედგენა, რის საფუძველზეც გაიცემოდა ნებართვა ხის მოჭრასთან დაკავშირებით, უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

აგრეთვე სასოფლო და არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწებზე შემოსული სადაო განცხადებების განხილვა ხდებოდა ადგილზე დათვალიერებითა და შესწავლით, რომლებზეც ხდებოდა დროული რეაგირება.

მოთხოვნა გაკეთდა მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ეფექტური წარმართვისათვის გარემოს დაცვის კუთხით ნაგვის ურნებსა და ნაგვის გამტან და შემგროვებელ სპეც. ავტომობილებზე, მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის მიხედვით.

აგრეთვე მიღებულია მოქალაქეთა 4 (ოთხი) განცხადება არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობების კანონიერი მოსარგებლისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. ხდებოდა განცხადებების განხილვა, ადგილზე დათვალიერება და შესაბამისად დაკმაყოფილდა განმცხადებლის თხოვნა. წელს ქ. ახალქალაქში მოხდა პარკის მშენებლობა.

6. ზედამხედველობის სამსახური

2019 წლის პერიოდის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურმა განახორციელა ზედამხედველობა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 64 -სოფელსა და ქ.ახალქალაქში მიმდინარე სამუშაოებზე. მათ შორის, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოფლის კლებების რეაბილიტაციის, სარწყავი და სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ამბულატორიული შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის, ასევე სპორტული და საბავშვო მოედანების მოწყობაზე. ხიდები და სოფლის ქუჩების გარე განათებები, ასევე სასმელი წყალი პირუტყვისათვის. სულ სოფლის პროგრამით გათვალისწინებულ - 91

პრიორიტეტზე (64სოფელი) , რომელთაგან 84 აერთიანებს ინფრასტრუქტურული სახის სამუშაოებს. მათგან დასრულდა 80 -პრიორიტეტი. დარჩენილია - 4 ობიექტი, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები გეგმა გრაფიკით და ამჟამად პროცეშია. სახელმწიფო პროგრამის თანახმად, რეგიონალური ფონდიდან დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, ზედამხედველობის სამსახურმა განახორციელა 5 პროექტის ზედამხედველობა, რომელთაგან 4 დამთავრებულია. ასევე დასრულდა -სოფ.ვაჩიანი-ოკამის გზის მოასფალტების სამუშაოები.

ასევე განხორციელდა ზედამხედველობა ბარვა-კარტიკამი, ბარალეთი- იხტილა-კოჩიო -ალათუმანის გზისა და ყოფილი მე-15 სამხედრო ქალაქის ეზოების მოასფალტების, თბილისის ქუჩის 1,2,3, შესახვევების, მასივ ჯივანის ქუჩის, ქ.ახალქალაქისა და 1-ლი სამხედრო ქალაქის დამაკავშირებელი ხიდიდან საცალფეხო ბილიკის მოასფალტების სამუშაოებზე. სტიქიის შედეგად დაზიანებული გოგამენი -ვარძის გზის დაწმენდითი სამუშაოები, რომელიც დღეის მდგომარეობით დასრულებულია. ზედამხედველობის სამსახურმა აგრეთვე განახორციელა 17-საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების სველი წერტილების მოწყობა, რომელიც დღეის მდგომარეობით დასრულებულია. ასევე დასრულებულია საფეხმავლო ხიდების მშენებლობა სოფლებ,ალასტანი-გოკიო-ხულგუმოში. სოფელ ალასტანის დამაკავშირებელი ხიდი დასრულებულია. ახალქალაქის საფეხმავლო ხიდის შეკეთება დასრულებულია. რაც შეეხება სარწყავი არხების გაწმენდით სამუშაოებს, მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაიწმინდა სარწყავი და გასუფთავდა-საირიგაციო სისტემები საერთო სიგრძით 9 -ათასი მეტრი, რომელიც ინსპექტირებულ იქნა ჩვენს მიერ, სამუშაოები დასრულებულია.

მიმდინარე 9 თვის განმავლობაში, რეკომენდირებული იყო საპროექტო ორგანიზაციების დაჯარიმება, რომლებიც ემსახურებოდნენ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიას სხვადასხვა სახის საპროექტო-სახარჯადრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით. გამოვლინდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევები, რის საფუძველზეც დაჯარიმდა არაერთი მშენებელი კომპანია. მომზადებულია ადგილზე შემოწმების აქტი- 37 ობიექტზე. დაჯარიმდა გაზ-მომარაგების კომპანია სოფლებში უკანონოდ გაზსადენების მშენებლობისა და მონტაჟისათვის. ქალაქის ტერიტორიაზე დემონტაჟირებულ იქნა თამბაქოს ნაწარმის რეკლამები. განხორციელდა ზედამხედველობა და მივმართედ წყალმომარაგების სერვის ცენტრს ახალქალაქის ქუჩებში წყლის მიღების დაზიანებების აღდგენის შესახებ. ასევე ზედამხედველობის სამსახურმა განახორციელა ჭავჭავაძის ქ.1/ და თავისუფლების ქ.36/38 მრავალსართულიანი ბინების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოების ზედამხედველობა. ამამად დარჩენილია 4 ამბულატორიის მშენებლობა რომელშიც მიმდინარეობს მშენებლობა.

7. შიდა აუდიტის სამსახური

2018 წლის 14 აგვისტოს შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა დაამტკიცა შემოწმების წლიური გეგმა ,რის საფუძველზე შევამოწმეთ;

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება ,ახალქალაქის სერვისცენტრი,
მერიის კულტურის ,განათლების,სპორტის ,ძეგლთა დაცვის,ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის სამსახური,ა(ა)იპ ,,საბავშვო ბაღების გაერთიანება,,
მერიის შესყიდვების სამსახური .

ასევე გვქონდა 3 დისციპლინური წარმოება ;

1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ზაკვის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბალხოს მე-4 რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ავეტიქ მელქონიანის მიმართ,რომელიც სისტემურად არღვევდა ეთიკის ნორმებს და არ ასრულებდა უშუალო ხელმძღვანელის დავალებებს.კანონის თანახმად მან მიიღო გაფრთხილება.

2. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ მაჯადიის მე-4 რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სურიკ ოვაკანიანის მიერ იყო ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა,ის არ ასრულებდა უშუალო ხელმძღვანელის დავალებებს და სისტემურად არღვევდა ეთიკის ნორმებს.მიუხედავად იმისა ,რომ მას უკვე ჰქონდა მიღებული გაფრთხილება .ამის გამო მას დაეკისრა შემდეგი პასუხისმგებლობის ზომა-სამსახურიდან გათავისუფლება.

3.ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის ადმინისტრაციული ერთეულის მე-4 რანგის მე-3 კატეგორიის უმცროსი სპეციალისტს თეიმურაზ მადრაძეს ასევე პასუხისმგებლობის ზომად გაფრთხილება მიიღო.

ვპასუხობდით ა(ა)იპ -ებიდან შემოსულ განცხადებებზე,საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება ხდებოდა.

2019 წელს ჩავატარეთ გეგმიური და არაგეგმიური შემოწმებები,ჩავატარეთ ასევე დისციპლინური შემოწმებები.

2019 წლის სექტემბრამდე ჩატარებულია 4 დისციპლინური წარმოება ;

1.ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების მე 4-ე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის კარინე ქსოიანის მიმართ.რომელმაც მიიღო დისციპლინარული ზომა

გაფრთხილების სახით.

2.ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ახალქალაქის საბავშვო ბაღების

გაერთიანების,, დირექტორის მიმართ დაწყებული იყო დისციპლინარული წარმოება რის შედეგადაც ის განთავისუფლდა სამსახურიდან.

3.ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბალხოს სპეციალისტის ავეტიქ

მელქონიანის მიერ ჩადენილი იყო დისციპლინური გადაცდომა,რის გამო მან მიიღო დისციპლინური ზომა 1 თვის ხელფასის 50 %-ის დაკავება.

4. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამის ადმინისტრაციული ერთეულის მე-4 რანგის მე-3 კატეგორიის უმცროსმა სპეციალისტმა თეიმურაზ მალრაძემ ჩაიდინა დისციპლინარული გადაცდომა ,რიცთვისაც მას დაეკავა 1 თვის ხელფასის 30 % დაკავება მიიღო.

ჩავატარეთ ასევე გეგმიური შემოწმებები ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში,ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის ,განათლების ,სპორტის,ძეგლთა დაცვის ,ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის სამსახურში,ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ახალქალაქის ბაღების გაერთიანებაში,, ,ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სერვისცენტრში,ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურში,ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის სამსახურში,ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ცოზ-ში,ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურში.

8. განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ტურიზმის განვითარებისა და გენდერული თანასწორობის სამსახური

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ახალქალაქის მუნიციპალიტეტში:

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 9 სრული და 3 ალტერნატიული საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 981 ბავშვი - კერძოდ:

№1 საბავშვო ბაღი - 100 ბავშვი;

№2 საბავშვო ბაღი - 240 ბავშვი;

№3 საბავშვო ბაღი - 185 ბავშვი;

- №4 სოფელ დილისკის საბავშვო ბაღი - 65 ბავშვი;
- №5 სოფელ ვაჩიანის საბავშვო ბაღი - 90 ბავშვი;
- №6 სოფელ ბარალეთის საბავშვო ბაღი - 85 ბავშვი;
- №7 სოფელ აზავრეთის საბავშვო ბაღი -31 ბავშვი;
- №8 სოფელ კარწახის საბავშვო ბაღი -38 ბავშვი;
- №9 სოფელ კულიკამის საბავშვო ბაღი -55 ბავშვი;

სოფელ კოთელიის ალტერნატიული საბავშვო ბაღი - 21 ბავშვი;
 სოფელ ხანდოს ალტერნატიული საბავშვო ბაღი - 46 ბავშვი;
 სოფელ კარტიკამის ალტერნატიული საბავშვო ბაღი - 25 ბავშვი;

- გასულ წელთან შედარებით 2019 წელს 82 ბავშვით მეტი იღებს სკოლამდელ განათლებას.

1. რაგბის რეგიონალური ფესტივალი-ახალქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა რაგბის რეგიონალური ფესტივალი, სადაც მონაწილეობდნენ რეგიონში მოქმედი სარაგბო გუნდები.
2. ჩატარდა ამხანაგური პირველობა მინი-ფეხბურთში, მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ახალგაზრდულმა გუნდებმა.
3. საზაფხულო საბავშვო ბანაკი - ამირანის გორის ტერიტორიაზე მოეწყო საზაფხულო საბავშვო ბანაკი, სადაც ახალგაზრდებს სთავაზობენ დასასვენებელ-შემეცნებით საზაფხულო პროგრამას, რომელიც დაფინანსდა 30 000 ლარით;
4. საზაფხულო ბანაკი “I see you - შეხვედრა ახალქალაქში”- დაფინანსდა 12 705 ლარით;
5. სომხეთში, ქალაქ ერევანში ჩატარდა პან -სომხური შეჯიბრებები - მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა სპორტსმენებმა, ღონისძიების ჩასატარებლად გათვალისწინებულმა თანხა შეადგენდა 22 338 ლარს.
6. ჩატარდა ამხანაგური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და ფრენბურთში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ახალგაზრდებმა.
7. 23-30 სექტემბერს „ევროპის სპორტის კვირეული“-ს ფარდლებში ჩატარდა სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრებები სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, კარატესა და ცურვაში. გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და მედლებით.
8. ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის მე-2 ლიგის თამაშები ფეხბურთში.
9. დაბა ასპინძაში გაიმართა რაგბის ფესტივალი, ფესტივალზე მონაწილეობდნენ ახალქალაქის სარაგბო გუნდები.
10. ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019-ის რეგიონალური და ფინალური თამაშები; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ არაგვას საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ფინალურ თამაშებში მაგიდის ჩოგბურთში დაიკავეს მეორე ადგილი.
11. ფეხბურთის განვითარების მიზნით საქართველოს საამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა მოყვარულთა თასი 2019-ის მუნიციპალური თამაშები; უახლოეს მომავალში დაიწყება რეგიონალური თამაშები.
12. ჩატარდა მასტერ ლიგის მუნიციპალური თამაშები, უახლოეს მომავალში დაიწყება რეგიონალური თამაშები; თამაშებში მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები.

13. ჩატარდა რეგიონის მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობების გუნდებს შორის ამხადაგური შეხვედრა მინი ფეხბურთში.
- წლის განმავლობაში სპორტსმენტა დასაჯილდოვებლად მედლებისა და თასების შესაძენი თანხა შეადგენს 2300 ლარს.
 - აღნიშნულ სპორტულ შეჯიბრებებში ძირითადად მონაწილეობენ მოზარდები და ახალგაზრდები, მსგავსი ღონისძიებების ხელშეწყობით ადგილობრივი შეჯიბრებების გარდა მონაწილეობენ როგორც რეგიონალურ ასევე ფინალურ თამაშებში, რომელიც ტარდება საქართველოს მასშტაბით, რაც მათთვის დიდი მოტივაციაა, რომელიც აიხსნება იმით, რომ ყოველწლიურად იზრდება სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეთა რიცხვი. მათი ხელშეწყობა ხელს უწყობს ახალგაზრდებში ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვას, მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარებას.

ტრადიციული და სადღესასწაულო საგანმანათლებლო - კულტურული ღონისძიებები:

1. ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი "ეტალონის" შესარჩევი ტური. მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებმა, კონკურსის ჩატარება ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტელექტუალური უნარების განვითარებას. დაფინანსდა 3000 ლარით.
2. სხვადასხვა ფესტივალების დაფინანსება - კულტურათაშორისი დიალოგის განვითარება- გაღრმავების, რეგიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ეთნოკულტურის და ტრადიციების შენარჩუნება - განვითარება, მონაწილეთა შემოქმედებითი უნარ - ჩვევების გამოვლენის, ტურისტული პოტენციალის ზრდისა და ეკონომიკის განვითარების მიზნით სხვადასხვა ფესტივალებში, მიწვევით მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა სამხატვრო კოლექტივებმა, რომელიც წლის განმავლობაში დაფინანსდა 32 662 ლარით.
3. 14 აპრილს ახალქალაქის მომავლის სახლში ჩატარდა დედაენის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები
4. დედის დღესთან და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საბავშვო ბალებსა და ა(ა)იპებში ჩატარდა ღონისძიებები.
5. 9 აპრილს ეროვნული ერთიანობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღესთან დაკავშირებით მოხდა დაღუპულთა მემორიალის შემკობა ყვავილებითა და გვირგვინით;
6. 24 აპრილი სომეხთა გენოციდის დღე - მოხდა გენოციდის დროს დაღუპულთა მემორიალის შემკობა ყვავილებითა და გვირგვინით;
7. 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს პატივი მიეგო მეორე მსოფლიო ომში მონაწილეთა ხსოვნას, ვეტერანებისთვის გაიმართა სადღესასწაულო სადილი. დაფინანსდა 500 ლარით.
8. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მიმდინარე წელს გრანდიოზულად აღინიშნა, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ჩატარდა სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები, სადღესასწაულოდ მოირთო ქალაქი, მოეწყო ბავშვთა გასართობი კუთხე, სამხედრო ტექნიკის გამოფენა, ჩატარდა დასკვნითი კონცერტი.

9. ჩატარდა ფესტივალი „ჯავახეთის გაზაფხული“ , მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში მოქმედი სამხატვრო კოლექტივები.
10. სახალხო დღესასწაული „ჯივანობა“ - რომელიც ჩატარდა რეგიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნება-განვითარების მიზნით. დაფინანსდა 4000 ლარით. ჯივანობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ჩატარდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კარწახში.
11. აშული "თიფილისადმი" მოძღვნილი ღონისძიება დაფინანსდა 500 ლარით.
12. 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქალაქის პარკში ჩატარდა საბავშვო -გასართობი ღონისძიებები.
13. 01 სექტემბერს ახალქალაქის დღეს“ ქალაქის პარკსა და ცენტრალურ მოედანზე ჩატარდა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ანსამბლებმა, ასევე მოწვეულმა საესტრადო ჯგუფმა. მოეწყო როგორც ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ასევე ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა - დაგემოვნება, ჩატარდა ფერების ფესტივალი. დაფინანსდა 20 000 ლარით.
14. 21 სექტემბერს ევროპის წარმომადგენლობამ საქართველოში ევროპის დღე აღნიშნა , რომელიც გაიმართა ქ. ახალქალაქში ცენტრალურ მოედანზე. მოედანი დაყოფილი იყო სხვადასხვა ზონებად, ევროკავშირის პროექტებისა და პროგრამების ზონად, სიმულაციური თამაშების ზონად, საბავშვო ზონად; მხიარული შეჯიბრებების ზონად, ასევე მოედანი ერთი დღით გადაიქცა ევროსოფლად.
15. 24 სექტემბერს ახალქალაქის კულტურის სახლში რეჟისორ ირინა გაჩეჩილაძის მიერ დაიდგა კამერული ოპერა - ჯან კარლო მენოტის "ტელეფონი", პროექტის ორგანიზატორი იყო "ფონდი რედლაბი" პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას.
16. „ ევროპის მემკვიდრეობის დღეების“ ფარგლებში ახალქალაქის ცენტრალურ პარკში მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა; გამოიფინება მუზეუმის ექსპონატები; გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს ახალქალაქის საბიბლიოთეკო გაერთიანება, ახალქალაქის მომავლის სახლს წარმოდგენილი ექნება პურის ცხობის ძველი ტრადიცია, ჩატარდება ადგილობრივი ანსამბლების კონცერტი.
 - წლის განმავლობაში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის მხადაჭერით ადგილობრივი სამხატვრო კოლექტივები სისტემატურად მონაწილეობენ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებსა და გამოფენებზე, მიმდინარე წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჯავახვი“ მიწვეული იყო ბულგარეთში საერთაშორისო ფესტივალზე; ხოლო ქორეოგრაფიული ანსამბლი „მურჯი“ მონაწილეობდა ჩეხეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე, ადგილობრივი სამხატვრო კოლექტივები ასევე მონაწილეობდნენ სომხეთში გამართულ სხვადასხვა ფესტივალებსა და გამოფენებზე. მსგავს ფესტივალებზე მონაწილეობის მხადაჭერა ხელს უწყობს ულტურათშორისი დიალოგის განვითარება- გაღრმავებას, რეგიონში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ეთნოკულტურის და ტრადიციების შენარჩუნება - განვითარებას, მონაწილეთა შემოქმედებითი უნარ - ჩვევების გამვლენას, ტურისტული პოტენციალის ზრდასა და ეკონომიკის განვითარებას. უფრო მეტ ახალგაზრდას უჩნდება ხელოვნებისადმი ინტერესი.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები

1. ა(ა)იპ ახალქალაქის საკლუბო გაერთიანება: რომლის შემადგენლობაშიც შედის ახალქალაქის კულტურის სახლი და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული კლუბები, რომლის რაოდენობაც შეადგენს 32 კლუბს, ასევე მომავალი წლიდან იგეგმება კლუბის გახსნა სოფელ ვარევანშიც. კლუბებში მოქმედი სამხატვრო კოლექტივები მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ფესტივალებში.

ახალქალაქის კულტურის სახლში ფუნქციონირებს შემდეგი სამხატვრო წრეები:

- სომხური ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჯავახვი“.
- ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი „მურჯი“.
- ქართული თეატრი;
- სომხური თეატრი;
- თოჯინების თეატრი;
- ხალხური ინტრუმენტალური ანსამბლი;
- საესტრადო ანსამბლი;
- საბავშვო თეატრი.
- სულ: 130 მოსწავლე

ა(ა)იპ სააშუალო სკოლა - ფუნქციონირებს შემდეგი სამხატვრო წრეები:

- აშუღის
- დოლი
- ფორტეპიანო
- დუდუკი
- აკორდეონი

სულ: 26 მოსწავლე

ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანება - ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:

საბიბლიოთეკო გაერთიანების შემადგენლობაში შედის ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკა და 16 სასოფლო ბიბლიოთეკა.

- ლიტერატურის წრე;
- რესტავრაციის წრე.

ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა - ფუნქციონირებს შემდეგი სამხატვრო წრეები:

- ფორტეპიანო
- კლარნეტი
- აკორდეონი
- გიტარა

სულ: 172 მოსწავლე

ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა - ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:

- ფერწერა
- ნახატი
- დეკორატიული ხელოვნება
- კომპოზიცია
- ხელოვნების ისტორია

სულ: 35 მოსწავლე

ა(ა)იპ მომავლის სახლი - ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:

- ინგლისური ენა;
- ქართული ენა;
- სომხური ენა;
- სამუსიკო;
- მძივების ქსოვა;
- თოჯინები;
- ქარგვა;
- ხელმარჯვე ოსტატები.

სულ: 110 მოსწავლე

ა(ა) იპ ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი- მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენებში.

ა(ა)იპ ახალქალაქის საჭადრაკო სკოლა - სულ 90 მოსწავლე; მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ტურნირებზე; ფუნქციონირებს საჭადრაკო სექცია სოფელ დილისკაში სადაც ირიცხება 40 მოსწავლე.

ა(ა)იპ ახალქალაქის დახურული საცურაო აუზი - ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:

- ცურვა
- ფიტნესი

მოსწავლეთა საერთო რაოდენობა- 70.

ა(ა)იპ ახალქალაქის სპორტული სკოლა - ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:

- ფეხბურთი
- მინი ფეხბურთი
- მაგიდის ჩოგბურთი
- რაგბი
- კარატე
- ფრენბურთი
- თავისუფალი სტილით ჭიდაობა

სულ: 180 მოსწავლე

მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

ა(ა)იპ ახალქალაქის სპორტ - კომპლექსი -ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:

- კრივი
- კიკბოქსინგი
- კარატე
- კარატე კიოკუშინკაი
- სათხილამურო სპორტი სოფელ არაგვაში
- ჭიდაობა

მოსწავლეთა რაოდენობა - 400

ფუნქციონირებს სპორტული სექციები მუნიციპალიტეტის სოფლებში კერძოდ:

სოფელ კარტიკამში კრივის სექცია -50 მოსწავლე;

კარატეს სექცია სოფელ მაჯადიაში - 25 მოსწავლე;

ჭიდაობის სექცია სოფელ დილისკაში - 90 მოსწავლე;

რეგიონულ და ქვეყნის მასშტაბით გამართულ სპორტულ შეჯიბრებებსა და ფესტივალებზე სპორტსმენთა და სამხატვრო კოლექტივების ტრანსპორტიებასა და კვებას უზრუნველყოფს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერია: წლის განმავლობაში ტრანსპორტირების თანხა შეადგენს - 31 000 ლარს.

კვების თანხა შეადგენს - თითოეულზე 15 ლარს.

მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის გაშუქების მიზნით ფინანსდება საინფორმაციო პროგრამა რათა მოსახლეობა უკეთ გაეცნოს როგორც ადგილობრივ, ასევე ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ მიმდინარე მოვლენებს დაფინანსდა 8457 ლარით.

9. იურიდიული სამსახური

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახური არის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მერიის სამართლებრივ მომსახურებას, მერიის ინტერესების დაცვას ყველა ინსტანციის სასამართლოში, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას; სამსახურში შემოსული განცხადებების, წერილების და მომართვების განხილვას; მერის და სტრუქტურული ერთეულების იურიდიულ კონსულტირებას და სამართლებრივი დასკვნის მომზადებას, მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზასა და მათ ვიზირებას. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას; ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვის და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას, მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრასა და პრევენციას.

მერიის ინტერესების დაცვა ყველა ინსტანციის სასამართლოში:

მერიის იურიდიულ სამსახურში 2019 წლის განმავლობაში შემოსული იქნა 14 ადმინისტრაციული სარჩელი. აღნიშნულ სარჩელებზე სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი შესაგებლები და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადებში წარდგენილი იქნა სასამართლოში.

აღნიშნული საქმებიდან 9-ზე მიღებული არის სასამართლო გადაწყვეტილება, ხოლო 5 საქმეზე მიმდინარეობს სასამართლო წარმოება.

2018 წელს სასამართლო საქმების რაოდენობა შეადგინა 11, შესაბამისად წელს სასამართლო საქმეები მომატებულია.

სამსახურში შემოსული განცხადებები, წერილები და საჩივრები:

სამსახურში 2019 წელს შემოსული განცხადებების, წერილების და ადმინისტრაციული საჩივრების საერთო რაოდენობა შეადგენს 240-ს.

2018 წლის შედარებით 18 განცხადება-სარჩელით მომატებულია.

ყველა აღნიშნულ კორესპონდენციაზე სამსახურის მიერ კანონით დადგენილი წესით და ვადაში ჩატარებული იქნა შესაბამისი წარმეობა და გაეცა სათანადო პასუხები.

იურიდიული სამსახური საჯარო მოხელეები ასევე აქტიურად არიან ჩართული მერის მიერ შექმნილი სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში.

მერიის იურიდიული სამსახური ახორციელებს ასევე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირების სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტისა და აღენის პროცესს, რაც არ შედის სამსახურის მოვალეობაში და წარმოდგენს სამსახურის მიერ შესრულებულ დამატებით სამუშაოს.

2018 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით სამსახურის მიერ რეგისტრირებული იქნა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირების სტატუსის მინიჭების შესახებ **950** განცხადება, აქედან დადებითად დასრულებულია **790** განცხადება.

სამსახურის მიერ აღნიშნულ პერიოდში გაცემულია მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირების სტატუსის შესახებ **1176** ცნობა.

რეესტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეწყვეტილია **381** მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსი, მონიტორინგის საფუძველზე კი **12**.

ხოლო 2019 წელს სამსახურის მიერ რეგისტრირებული იქნა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსის მინიჭების შესახებ 2147 განცხადება, აქედან დადებითად დასრულებულია 1799 განცხადება.

სამსახურის მიერ აღნიშნულ პერიოდში გაცემულია სტატუსის შესახებ 1300 ცნობა.

რეესტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეწყვეტილია 7 მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსი, მონიტორინგის საფუძველზე კი 12.

10. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეზერვის სამსახურში არიცხვაზე იმყოფებიან 2019 წელს 2422 წვევამდელი და 6796 რეზერვისტი, ხოლო 2018 წელს 2606 წვევამდელი და 6595 რეზერვისტი.

ახალქალაქის სამხედრო სამსახურში 2019 წელს მივიღეთ და შევასრულეთ დროულად 251 განცხადება და გავეცით 116 სხვადასხვა სახის ცნობები, 2018 წელს 446 განცხადება და 142 სხვადასხვა სახის ცნობები.

2019 წელს გავეცით 89 სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა, 2018 წელს 83 სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქ ახალქალაქში უწყება დავურიგეთ 2019 წელს 400 წვევამდელს, 2018 წელს 187 წვევამდელს, საიდანაც 2019 წელს სავალდებულო სამსახურში წავიდნენ 65 წვევამდელი, ხოლო 2018 წელს სავალდებულო სამსახურში წავიდნენ 44 წვევამდელი. ანუ 2019 წელს 32% -ით მეტმა იმსახურა.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ქალაქ თბილისის სამედიცინო კომისიის მიერ მიეცათ გადავადება 1-3 წლამდე ვადით, 2019 წელს 5 წვევამდელს, 2018 წელს 12 წვევამდელს.

"სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლი სხვადასხვა პუნქტებით გადავადებით სარგებლობს 2019 წელს 142 წვევამდელმა, 2018 წელს 94 წვევამდელმა, ანუ 51%-ით მეტია 2019 წელს მოსარგებლე პირთა რაოდენობა.

საიდანაც 2019წ. "დ" ქ/პ გადაიხადა 2000 ლარი (18 თვე) - 49 წვევამდელმა.

2018 წ. გადაიხადა "დ" ქ/პ 2000 ლარი (18 თვე) - 37 წვევამდელმა.

2019 წ. "გ" ქ/პ სტუდენტი - 29 წვევამდელი.

2018 წ. "გ" ქ/პ სტუდენტი - 18 წვევამდელი.

2019 წ. "ე" ქ/პ მოსწავლე - 27 წვევამდელი.

2018 წ. "ე" ქ/პ მოსწავლე - 2 წვევამდელი.

2019 წ. "ზ" ქ/პ ყავს ორი ანმეტი შვილი - 4 წვევამდელი.

2018 წ. "ზ" ქ/პ ყავს ორი ანმეტი შვილი - 2 წვევამდელი.

2019 წ. "მ" ქ/პ დედისერთა - 6 წვევამდელი.

2018 წ. "მ" ქ/პ დედისერთა - 3 წვევამდელი.

2019 წ. "პ" ქ/პ ყავს ერთი შვილი - 5 წვევამდელი.

2018 წ. "პ" ქ/პ ყავს ერთი შვილი - 4 წვევამდელი.

2019 წ. "ნ" ქ/პ მასწავლებელი - 0.

2019 წ. "ნ" ქ/პ მასწავლებელი - 1.

2019 წ. "კ" ქ/პ პატრონობს შრომისუნარო დედა/მამა, პაპა/ ბებია - 3 წვევამდელი.

2018 წ. "კ" ქ/პ პატრონობს შრომისუნარო დედა/მამა, პაპა/ ბებია - 0 წვევამდელი.

2019 წ. "ლ" ქ/პ მღვდელმსახურობ - 1 წვევამდელი.

2018 წ. "ლ" ქ/პ მღვდელმსახურობ - 0 წვევამდელი.

ალტერნატიულ სამსახურსი ავიყვანეთ:

2019 წ. - 4 წვევამდელი

2018 წ. - 1 წვევამდელი

მივმართეთ პოლიციას დახმარებისთვის :

2019 წ. - 80 წვევამდელზე.

2018 წ. - 23 წვევამდელზე.

ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს მივმართეთ:

2019 წ. - 11 წვევამდელზე, საიდანც დაჯარიმდა 3 წვევამდელი (1000 ლარით).

2018 წ. - 5 წვევამდელზე, საიდანც დაჯარიმდა 1 წვევამდელი (1000 ლარით).

ახალქალაქის ტერიტორიულ ორგანოებში უწყებები დავარიგეთ, 9 თვის

მანძილზე გავარკვიეთ:

2019 წ. - 276 წვევამდელი იმყოფებიან საქართველოს საზღვრებს გარეთ .

2018 წ. - 46 წვევამდელი იმყოფებიან საქართველოს საზღვრებს გარეთ .

უცხო ქვეყნის მოქალაქე

2019 წ. - 12 წვევამდელი.

2018 წ. - 3 წვევამდელი.

რეზერვისტებაზე გაცემული იქნა დროებითი სამხედრო ბილეთი

2019 წ. - 222 ცალი.

2018 წ. - 390 ცალი.

აღრიცხვაზე იმყოფებიან

2019 წ. - 14 რეზერვისტი.

2018 წ. - 19 რეზერვისტი.

სამხედრო ბილეთის დაკარგვის ან დაზიანებისთვის დაჯარიმდა

2019 წ. - 10 რეზერვისტი.

2018 წ. - 8 რეზერვისტი.

პირველად სამხედრო აღრიცხვაზე სიის მიხედვით აღრიცხვაზე უნდა იქნან აყვანილი:

2019 წ. - 300 ჭაბუკი .

2018 წ. - 310 ჭაბუკი.

სხვადასხვა მიზეზების გამო არ გამოცხადნენ აღრიცხვაზე

2019 წ. - 8 ჭაბუკი .

2018 წ. - 11 ჭაბუკი.

საერთო ჯამში აღრიცხვაზე იმყოფებიან:

2019 წ. - 282 ჭაბუკი.

2018 წ. -299 ჭაბუკი.

ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ პერიოდში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურის სამუშაოსთან დაკავშირებულ საკითხებში დახმარება გაგვიწიეს შემდეგი სოფლების (არაგვა, ორჯა, მაჯადია, ხანდო, გოკიო, ალასტანი, ვარევანი, პტენა, ჩუნჩხა, ოკამი, კარწახი, მერენია, ოლავერდი, დადეში, სულდა, და ა. შ.) რწმუნებულებმა და სპეციალისტებმა.